

საქართველო

პროვზული თავისუფლების გზით - პროვზული თავისუფლებისათვის
პროვზული თავისუფლების გზით - პროვზული თავისუფლებისათვის

პროვზული
გზით თავისუფლებას

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№47 (1485)


3-7 ოქტომბერი 1996 წელი



„ზორი“ ბროზნოში

მეექვსე გვერდი

ბოლოის მშენებლობა



კავკასიაში

გადადებულია...

ბაზრკვეველი ღრით

ნაგვიანევი ინტერმედიაცია დატყუალი
და ანადატყუალი „დემტრაცემის“
სკტმედიან

ბიბლიური გადმოცემის თანახმად, ბაბილონელებმა გადანყვიტეს ისეთი მაღალი კოშკის აშენება, რომ ცას აწვდენოდნენ. ამან ღმერთი განარისხა და მშენებლებს ენა აღურია. შედეგად, მშენებლებს ერთმანეთის აღარაფერი ესმოდათ და ნამონყებული მშენებლობის გაგრძელებაც შეუძლებელი შეიქმნა.

შეფაროში ამ მოვლენამ გადატანითი მნიშვნელობა შეიძინა და ნიშნავს აღიქმის, ორიენტრალის, არეგდარეულობას.

აღბათ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სექტემბრის შუა დეკადაში საქართველოში მომხდარი მოვლენებიდან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანს კავკასიის სახლის აშენების მონაწილეობა კონფერენცია წარმოადგენ-

და. იგი გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის შენობაში და სამ დღეს (18-20 სექტემბერი) გრძელდებოდა. ღონისძიება ორგანიზებული იყო კავკასიის სახლის (დირ ნაირა გელაშვილი) და გერმანიის პუბლიცისტი ინსტიტუტის (ბერლინი) მიერ. შეკრებას ესწრებოდნენ და მონაწილეობდნენ სტუმრე-

გაგრძელება მე-4 გვ

ელსინი
საიქიოს
მიხედავრება



მესამე გვერდი

„შენი შესანსვლა რომ ვნებავს. მიზეზად ისიც კმარაო



კიტოვან-სურგულაქე-ფისუნის
სასამართლო პროცესი

მეექვსე გვერდი

რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა უნდა შეწყდეს

ბუნინ საქართველოს პარლამენტმა გააგრძელა აფხაზეთის საკითხის განხილვა. სხდომაზე პარლამენტარები ერთსულოვნად გამოთქვამენ თავის უარყოფით დამოკიდებულებას რუსეთის პოლიტიკისადმი საქართველოსთან მიმართებაში.

როგორც დეპუტატმა იბათიაშვილმა (აფხაზეთის ომის პერიოდში საინფორმაციო სადაზვერუო სამსახურის უფროსი) განაცხადა, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, რუსეთს გაუადვილებია ამ ორი რეგიონის თავის ფედერაციაში შეყვანა. მისი თქმით, თუ საქართველოდან რუსეთის ჯარების გასვლის საკითხი დადგება, საქართველოს არაქართულ რეგიონებში დიდი წინააღმდეგობები მოსალოდნელია. მისვე თქმით, აფხაზეთის დაბრუნება დიდი სამხედრო და პოლიტიკური ძალისხმევით ფონზე უნდა მოხდეს. რაც შეეხება კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების ყოფნას, იბათიაშვილის აზრით, დღეისათვის ისინი მხოლოდ სასახლო და კომერციულ ფუნქციებს ასრულებენ. იგი თვლის, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა თავდაცვის მინისტრის ვანდიაშვილის ხელში შეუძლებელია. „განაღობა იმე იმე ფრეუტის (ა/კ რუსეთის ჯარების დაჯგუფების ყოფილი სარდალი მოადგილე, რომელიც არცთუ ისე შორს დგას 29 აგვისტოს ტერაქტისაგან, ხოლო თავდაცვის მინისტრი პრეზიდენტის პარალელურად ანგარიშებს მასაც აბარებს“ - განაცხადა იბათიაშვილმა.

მწვანეთა პარტიის სახელით გამოსულმა დეპუტატმა გვანჩილაძემ განაცხადა, რომ მწვანეთა პარტია მხარს აღარ დაუჭერს რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფნას საქართველოში.

გუაგუაძის განცხადებით, თუ აფხაზეთის პრობლემა 1996 წლის ბოლომდე არ მოგვარდება, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა უნდა შეწყდეს.

„იზრინა“

ფაქტი უკომენტაროდ

როგორც სააგენტოს კორესპონდენტისათვის სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, 1 ოქტომბერს გადასახადების გადამხდელთა უფლებების დაცვის კავშირის დამფუძნებელი კრების დაწყებამდე, რომელიც თბილისის მუსიკალური ცენტრის შენობაში უნდა ჩატარებულიყო, შენობის შესასვლელში პოლიციამ აღმოაჩინა რამოდენიმე ათეული გრამი ტროტული კაფსულებთან ერთად. პირი, რომელმაც ასაფეთქებელი ნივთიერება დატოვა, ჯერჯერობით დაუდგენელია.

სააგენტოს კორესპონდენტი დაუკავშირდა საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსს გუგუთაიელაძეს, რომელმაც არ ისურვა აღნიშნული ფაქტის განმარტება და ურჩია მას, მიემართა იმავე წყაროსათვის, საიდანაც ცნობილი გახდა ამ ფაქტის შესახებ, თავის მხრივ კი განაცხადა: „მე ამ ფაქტს უკომენტაროდ ვტოვებ“. სპეციალისტთა აზრით, ასაფეთქებელი ნივთიერების აღნიშნული რაოდენობა შენობაში მყოფთა სიცოცხლისათვის საფრთხეს არ წარმოადგენდა. მიმდინარეობს გამოძიება.

„იზრინა“

«მინისტრი ამერიკაშია, მოადგილე კი ავსტრიაში»

1 ოქტომბერს საკანონმდებლო ორგანოს საქართველოს პარლამენტისათვის 1997 წლის ბიუჯეტის პროექტი უნდა წარედგინა. იმის გამო, რომ ფინანსთა სამინისტროს რეგიონების ხელმძღვანელებთან ჯერ არ შეუთანხმებია რიგი საკითხებისა, პროექტი დღემდე არ არის წარდგენილი.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ აღნიშნა, ბიუჯეტის პროექტი არასახარბიელოა, იმ დროს, როცა ფინანსთა მინისტრი დ. იაკობიძე ორი კვირით ამერიკაში იმყოფება, ხოლო მისი მოადგილე კი ავსტრიაში. მისი თქმით, ამ საქმეს თემურ ბასილია გაართმევდა თავს, ფინანსთა მინისტრს კი საქართველოში უფრო მნიშვნელოვანი საქმეები ჰქონდა. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტროს საკითხი სერიოზულად დგას, რადგან სამინისტრო თანდათანობით განაწილებს სამინისტროდ გადაიქცა მან დაავალა ფინანსთა სამინისტროს - სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრის რეგიონების რწმუნებულებს და ორი დღის ვადაში წარმოადგინოს ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი.

„იზრინა“

კრედიტი აღებულია - მაზუთი არ ჩანს

საბანკო კორესპონდენტის ცნობით, ფირმა „სანდო“-მ 21 ათასი ტონა მაზუთის შესაძენად სახელმწიფოსაგან აიღო 1 200 000\$ კრედიტი. თუ მაზუთი თავის დროზე არ იქნა შემოტანილი, ფირმის ხელმძღვანელობა პასუხს აგებს.

„იზრინა“

მრავალმიზნული

ელსიანი საიხიოზ შიშაგზავრის

«უახლოესი მომავალში ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა»

გენერალური პროკურორის გ. ბაბიაშვილის განცხადებით, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა თბილისში და ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა თ. გომიჯანიძემ... (The text continues with details of the prosecution's stance and the historical context of the former president's actions.)

„ივრინდა“

ეროვნული იდეოლოგიის პარტია ლიცენზირებული პრეტორიის ვლის

საპარტიოების ეროვნული იდეოლოგიის პარტიის თავმჯდომარე გ. ბაბიაშვილმა თხოვნით მიმართა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწყობდა და უნებარეს ილია მეორეს... (The text discusses the church's role and the party's goals.)


„ივრინდა“

რუსეთი მტერია თუ...

ბუმბი, პარლამენტის სხდომაზე გამოსული ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატიის“ თავმჯდომარის მ. გორგაძის აზრით, რუსეთი სწორედ ამიტომ ქმნის საქართველოში ცხელ წერტილებს... (The text analyzes the political situation and the author's perspective on Russia.)

„ივრინდა“

საუბარი ნოდარ ნათაბუსთან



საინტერესოა, აი, სხვა რას ფიქრობს, ამასთან დაკავშირებით კვლავ უკეთესი იქნება, თუ ვილაპარაკებთ ზოგად სიტუაციაზე... (The text is the beginning of an interview with Nodar Natobidze.)

ბოდიშ ვიხდი, თქვენ გულისხმობთ საიქიოზს... (The text continues the interview, discussing the 'Sakhe' movement and its goals.)

მონაწილე ძალებს ძირითადი მიზანსახვის მიხედვით განვიხილოთ... (The text continues the interview, discussing the political and social goals of the 'Sakhe' movement.)

ენგლომა... (The text continues the interview, discussing the role of the church and the state.)

როდესაც ხდებოდა პარლამენტის მიერ ნაღობების კანდიდატურის განხილვა... (The text continues the interview, discussing the process of electing candidates.)

მე-11 კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

კონსტანტინე გამსახურდიას

„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“

გ ა ნ ხ ი ლ ვ ა

ნოლარ ბრიბალაშვილი

გაგრძელება დასაწ. იხ. „საქართველო“ №44, 45, 46.

მამამზე და ჭიაბერ ერისთავები

ეს ორი დიდებული იმავე გზას ადგას, რომელმაც ისინი კი არ მიიყვანა უფრო მეტი დიდების კარიბჭესთან, პირიქით, ამ გზით უბედურებამ ტაატი იარა და ბოლოს მათივე ოჯახსა და ციხე-დარბაზს ეწვია. ქვეყნის მოღალატეს ურმით დასდევს სამართლიანი განაჩენი და ბოლოს მაინც წამოეწევა მას - ესეც ისტორიის კანონზომიერება გახლავთ.

ის, რაც კვეტარის ციხის პატრონის ფსიქოლოგიური პორტრეტის აღსაწერად ითქვა, ქორსატეველას ციხის პატრონსაც მიესადაგება ერთი განსხვავებით - მამამზესა და ჭიაბერს უფრო მეტი მადლა აქვთ, ვიდრე კოლონკელიძეს. მათზე ვერ ვიტყვით, რომ პარტიკულარისტები არიან და საკუთარი საერისთავოს სრული შეუვალობა სურთ ცენტრალური ხელისუფლებისაგან, მათი მიზანი უფრო შორს წვდება - ცენტრალური ხელისუფლების ხელში ჩაგდება თავად სურთ.

მამამზე ერთგული თანამებრძოლი იყო ბაგრატ მესამისა. ბრძოლის ველზე სიკვდილს გადაარჩინა ბაგრატის ვაჟი გიორგი პირველი.

არც გიორგი ჩანს უმაღლური მეფისა და ერისთავის მამაშვილური მეგობრობა თითქოს უხინჯო უნდა იყოს, მაგრამ აქაც თავს იჩენს პირველობის პატივმოყვარული „უჩემოდ ვინ იმღერეთას“ უინი. მამამზეს ვაჟი ბიზანტიონში ყოფილა. ბასილი კეისარს ბრძოლებში ხლებია და ამ უკანასკნელს ოქროს მუზარადით დაჯილდოებული, იგულისხმეთ სწორედ პირველობის უინით ანთებული, გამოუგზავნია თავის სამშობლოში.

იმპერატორის კარზე ურჩ მეფეთა დასათრგუნად მარად მგელი და მარად ახალი გემბა მუშავდება. შეირჩევა ურჩი მეფის ღირსეული მეტოქე და დიდი იმპერიის მხარდაჭერით ძალამ-იცემული, იგზავნება ურჩთა ქვეყანაში.

დანარჩენი დროისა და მომენტის საქმეა. თუმცა, ქვეყნის ღალატი

ყოველთვის აშკარად როდია საგრძნობი. ფირმანით გაფორმებულ მოღალატეს არც მიიღებს ერი და არც ამოუდგება გვერდში კანონიერი მეფის დასამხობად.

აკი არც მიიღეს მამის მკვლელი, სწორედ ფირმანით გაფორმებული მოღალატე, კახთა უღლეური მეფე კონსტანტინე და არც აბოგინეს დიდხანს. ისეთი მეტოქე უნდა შეირჩეს, თავდაც ღირსეული რომ არის. თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც კი არ არის სავალდებულო, იმ იმპერიის ერთგული რომ იყო, რომელიც მეფესთან საბრძოლველად დახმარებას გაბრძვება.

იქნებ ანგარიშში ცდება მტერი?

რა ბედენაა მისთვის იმპერიის ერთი მოძულე მეორე მოძულეთი შეიცვალოს; არა, არ ცდება და აი, რატომ:

უღირსს, სამშობლოს გამყიდველსა და იმპერატორის ნაცვალს თუ იმპერატორმა ჯარი არ გამოაყოლა, გამარჯვება არ უწერია. საღ საკუთარი ჯარისკაცების სისხლის ფასად რომ დაასუსტებ ქვეყანას და საღ თავად ქვეყანა რომ საკუთარი ხელით გამოიჭრის ყელს. ეს კი მხოლოდ შინაომით შეიძლება.

შინაომში კი რაც უფრო ღირსეული და ძლიერი მეტოქე ეყოლება მეფეს, მით უკეთესი იმპერატორისათვის. ეს ომი უფრო ხანგრძლივი და ძლიერი იქნება.

თავის მხრივ, იმპერატორის ფარული თუ აშკარა მხარდაჭერით, მეფის გათამამებული მეტოქე ფიქრობს, იმპერიას გამოვიყენებ, მეფეს დავაშორებ და მეორე იმპერატორსაც გაცუცურაკებულს დავტოვებო (თუ, ვიმეორებ, ფირმანიანი მოღალატე არ არის).

ამ მოტივით შინაომები უმეტესად უკეთესი მერმისის სახელით ხდება. ორივე მხარეს სამშობლოს ბედნიერება სურს... ორივე მხარე პატრიოტული მოტივით უუკავს ერთმანეთს... მეფის ხელისუფლებისათვის ჭოლოკივით ნასროლ მეტოქეს რომ უთხრათ, ქვეყნის მოღალატე ხარო, აღფრთობებულმა შეიძლება თავი წაგაცალოს.

ის ხშირად ისეთივე მსხვერპლია სხვის მიერ გათამამებულ კორიდაზე, როგორც ის მეფე, რომლის დამხობაც



განუზრახავს. ეშმაკი კი ზის ქანდარაზე და იცინის.

რა მნიშვნელობა აქვს ბიზანტიის იმპერატორისათვის - გიორგი მეფე გაიმარჯვებს, თუ ჭიაბერი.

არც ერთია ბიზანტიის ერთგული და არც მეორე. პირიქით, ბიზანტიის მტრობაში ურთიერთგაჯიბრებულნი უფრო მეტი პატრიოტული აღტყინებით აიყოლიებენ თანამემამულეთ და ამოხოცავენ ერთმანეთს.

გამარჯვებულს ხელთ შეჩება ძმათა ომით სისხლდაცლილი, მისუსტებული, დამარცხებული ქვეყანა...

ასე ხელოვნურად და ვერაუღლად დადგმული შინაშლილობის სურათებს ვხედავთ ჭიაბერისა და გიორგი პირველის დაპირისპირების მაგალითზე.

მაშინ როცა მცხეთაში საახალწლოდ მეფესთან ჩაბრძანებული მამამზე ერისთავი ფარისფლურად ლოცავდა ტახტისმყრობელს: „მრავალჟამიერ ჰყოს დამდადებელმან ყოველმან მეფობა შენი და ისარნი ესე გულსა შინა გაენერთხოს მეფობისა შენისა ორგულსა წყულომც იყოს ყოველი გულბოროტი და ქვეამხედვარი ტახტისა შენისა“-ო,

მისი ვაჟი ჭიაბერი მეფის ჩამოსაგდებად ხალხს აჯანყებდა. რაც მთავარია, აჯანყებდა რომის პაპზე მეტი კათოლიკობის მოტივით, რაც ასეა გადმოცემული მისი ძუძუმტის, შავლეგ ტოხაისძის მიერ:

„ბერძენებს ეს სწადიათ ჩვენი, ჩვენი ენა დაგვავიწყონ და. მათი შევისწავლოთ, ჩვენი სამოსი შემოგვაძარცვონ, მათი ჩავიცვათ.“

ამიტომაც გვიხდოდა მე და კოლონკელიძეს მეფე გიორგი შეგვეპყრო, ჭიაბერი ტახტზე დაგვესვა“.

რომელი ბერძენთმოთაყვანე გიორგი იყო?

ტოხაისძის სიტყვებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ არავითარი იდეოლოგიური საფუძველი ამ შინაომს არ ჰქონია (კერძოთა აღდგენისათვის ბრძოლა რამდენად იყო ამ ომის საფუძველი, ამაზე უკვე გვქონდა საუბარი. აქედან გამომდინარე, ამ ომის სამწუხარო შედეგის იყო, რომ ქორსატეველას ციხეში გვერდიგვევრდ ჩაწვნი მძების მიერ განგმირული ძმები, რომ მტრის წინააღმდეგ გასაღები სიცოცხლე მოღალატის იარღიყით დაასრულეს ბრძოლებში გაჭალარაგებულმა ლომკაცმა მამამზემ და მისმა ვაჟმა, ასევე რჩეულმა მებრძოლმა ჭიაბერმა.

ამ ომს შეეწირა მეფის საუკეთესო მხედრები და ერისთავი გირშელ, რომელიც გარეშე მტრებთან ბრძოლებს ცოცხალი გადაურჩა და საკუთარ მოძმეთ აჩეხეს გაუგონარი სისასტიკით.

ამ სოუჟეტოაც შინაშლილობის მიზეზად ისევ ავად-მყოფური პატივმოყვარეობა და ამასთან, უცხო ქვეყნის ნებაზე კუნტრუში გვევლინება. ჭიაბერის მკვლელობის შემდეგ კი შურისძიების გრძნო-

ბა. ფარსმან სპარსი ორთი სრულიად გამორჩეული და ორიგინალური პერსონაჟა არა მარტო კვამსახურდიას შემოქმედებაში, არამედ საერთოდ, ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

„დიდოსტატის მარჯვენის“ პერსონაჟა შორის არავინ არის ისეთი ტრაგიკული, საცოდავი და იმავდროულად საშინელი კაცი, როგორიც ფარსმანია.

ფარსმან სპარსი ცხოვრების ნადიმოდან გაგდებული ადამიანია და თანაც იმ ასაკში, როცა ამ ცხოვრებისთვის არაფერი ჰქონდა მას დაშავებული. ეს ოდესღაც უზრუნველი და ნებიერი, დაუცხრომელი ბუნებით გამორჩეული ჭაბუკი, მტერთან ბრძოლებში გამირობის გამოჩინებაზე მეოცნებე ახალგაზრდა, თავად იქცევა ადამიანთა მოდგმის იდუმალ მტრად.

თავის ფენომენალურ განათლებადა და გენიალურ ნიჭს იმავე ნადიმის მონაწილეთა წინააღმდეგ იყენებს, საიდანაც იგი უცერემონოდ ექნა გაძევებული.

ხშირად ხდება ასეთი უცნაურობა. ამა თუ იმ პიროვნების შესახებ ოდესღაც ვიღაც იტყვის და შემდეგ მთელი „ცხოვრების შანძილზე“ ამ ნათქვამის, - ავის ან კარვის მიხედვით, ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი.

მოულოდნელად კი აღმოჩნდება, რომ ეს აზრი აბსოლუტურად მცდარი ყოფილა.

ლიტერატურულ პერსონაჟებსაც დაჰყვებათ ხოლმე ასეთი ბუდი.

ამის მაგალითად ფარსმანის კრიტიკისეული შეფასებაც გამოდგება.

ცოცხალ ადამიანსა თუ ლიტერატურულ პერსონაჟზე მსჯელობისას, თუ ისინი უარყოფით ემოციებს აღძრავენ, მოსაუბრეს, არცთუ იშვიათად, შეატყობთ, - იგი გესლს მომეტებულიად გამოურევს საუბარში, აქაოდა, როგორ მძულს ბოროტება, აქაოდა, რა შეურიგებელი ვარ ადამიანის უარყოფითი თვისებებისადმიო. ეს ხშირად ლიტერატურულ კრიტიკასაც ემართება და ობიექტური განსჯის ნაცვლად ისეთ ცალმხრივ უარყოფით ტიპებად წარმოგვიდგენენ პერსონაჟებს, თითქოს ისინი ღმერთმა საზოგადოებაში პირდაპირ ჯოჯოხეთის მუგუზლად მოავლინა.

ობიექტურმა თვალმა კი არ შეიძლება ფარსმანი არ აღიქვას საშინელთან ერთად იმავდროულად ტრაგიკულ და საცოდავ კაცად.

გაგრძელება იქნება

გლოვა რუსეთში ხელისუფლება გააოცდა და ამიჯორიას რუსეთმა ვერ შესძლო გლოვა...

ბასულ კვირას როსტოვის ოლქში მოხდა ავტოკატასტროფა — ბავშვები საცხე ავტობუსს რკინიგზის გადასასვლელზე შეეჯახა თბომავალი. ბავშვთა უმრავლესობა დაიღუპა.

როსტოვის ოლქში შედგა მოსწავლეთა დაკრძალვა, ექიმები იბრძვიან გადარჩენილთა სიცოცხლის შესანარჩუნებლად

პარასკევს, „ვესტის“ დილის გამოშვებაში რეპორტაჟი როსტოვის ოლქიდან მეოთხე ადგილზე იყო ნაჯიბულას, გადაუხდელი ვალების,

პრეზიდენტის წინმართლობის შემდეგ მწუხარება გაბატონდა ეკრანზე მხოლოდ ერთი დღის შემდეგ, პრეზიდენტის მითითებით, მომღიმარი ბი-

ჭუნების სახეები ჩნდებოდნენ და იკარგებოდნენ სიბნელეში. იქნებ ვოლაცის გული იგლიჯებოდა კიდევაც ამ სანახაობით, მაგრამ სატელევიზიო გადაცემათა ქსელი ნამდვილად არ გაწყვეტილა ამის გამო. პეტერბურგის ტელევიზიის არხით იდიოტურ სიცოცხლით სავსე შოუს უჩვენებდნენ. მოსკოვის არხით გამართობი კლიპები მიდიოდა, კაბელური ტელევიზია აღფრთოვანებული უწევდა რეკლამის ტამონებსა და კატის საჭმელს. ბარებში და რესტორნებში მუსიკა გუგუნებდა და უკანალს არხედნენ სტრიპტიზორები. დიახ, ჩვენთან არ არსებობს სახელმწიფო გლოვის კრიტიკროუმები. მაშინ, როცა გლოვა ბრეჟნევის სიკვდილის გამო გამოცხადდა, ხალხის უმრავლესობა სიცილის ხასიათზე იყო, როცა ტირილი და გლოვა სურდა ხალხს ახალ წელს დახვრეტილი მოსკოველთა ბრიგადის გამო, ხელისუფლება ეკრანზე შამპანურს ახატუნებდა.

ქვეყანა, რომელიც იცინის საყოველთაო გლოვის დღეს, ეს ხელისუფლების უქონლობას ნიშნავს და არა მარტო ხელისუფლების უქონლობაა ეს იზორ კონი
„კომსოპოლსაკი პრავდა“



„ზორო“ ბროზნოვი

დაამოუკიდებლო-ბისთვის მებრძოლ ჩეჩენთა მანქანები, გაშლილი ეროვნული დროშებით, გზას უკვალავენ რუსულ სამხედრო კოლონებს. ჩეჩენი მებრძოლები რუსული ტელევიზიის კამერების წინ გამარჯვებული კაცის იერით დგანან და ღიმილით ერთხმად აცხადებენ, რომ არას ერჩიან რუს ჯარისკაცებს. ეს უკანასკნელნი ვერ მალავენ სიხარულს, რომ, როგორც იქნა, თავი დააღწიეს ჩეჩენთის საშინელებას და ქათინაურებს არ იშურებენ გუშინდელი მეტოქის საქებრად. როგორც ჩანს, რაღაც მართლა შეიცვალა ჩეჩენთში. მშვიდობა ხელის ერთ გაწვედენაზეა და ამაში მთავარი დამსახურება გენერალ ლებედს ეკუთვნის. თუმცა, ყველაფერი საბოლოოდ მოგვარდაო, ვერ იტყვი. ყველაზე მტკივნეული საკითხი ისევ და ისევ ქვეყნის პოლიტიკური სტატუსია. მხარეები ვერც გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობაზე შეთანხმდნენ. იდილიური სცენები, რომელსაც რუსული ტელევიზია გვთავაზობს, სინამდვილეს მთელი სისრულით ვერ წარმოაჩენს. ჩეჩენთში ჯერ კიდევ გრძელდება დაპირისპირება, აქა-იქ შეტაკებებიც ხდება, მაგრამ წინანდელ ომთან შედარება აღარ არის. გროზნოში, რომელიც მან გენერალ პულიკოვსკის მიერ დაგეგმილი დაბომბვისგან იხსნა, ლებედს



„ზოროს“ უწოდებენ, რუსეთში კი მისი ღვაწლი ჭეშმარიტ გმირობად მიაჩნიათ.
„მშვიდობის გენერლის“ ვარსკვლავი ზენიტშია, ბორის ელცინის ხატი კი სულ უფრო მეტად კინდება — პრეზიდენტის ავადმყოფობას მისი მოქმედებების უგონივრობა და ალოგიკურობა ერთვის. რამდენიმე კვირის წინ კრემლში პრეზიდენტის გამორჩენას არაფერი შეუცვლია. უპასუხა რა საჯაროდ დასმულ კითხვებს, მან უარყოფითად შეაფასა გენერალ ლებედის ღვაწლი, თუმცა, ვერ ახსნა, რამ გამოიწვია მისი უკმაყოფილება. შემდეგ პრეზიდენტი გაუჩინარდა, ისე, რომ არაფერ იცის მისი ასავალ-დასავალი. ლებედი ასპეციალურად ჩამოვიდა გროზნოდან, რათა შეხვედროდა პრეზიდენტს, მაგრამ მის ნახვას ვერა და ვერ ეღიბრა. ეს არცაა გასაკვირი. აბა, ერთი ვაგისხენით, როგორ ამოდ აღოვინა თავის დროზე ელცინმა ირლანდიის პრემიერ-მინისტრი, უკრაინის პრეზიდენ-

ტი, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი და ვინ იცის, კიდევ რამდენი. მაგრამ, აი, ერთი დღეც არ იყო გასული, რომ ელცინმა „გული მოიბრუნა“ და ტელეფონით ნდობა გამოუცხადა „ჩეჩენთში თავის წარმომადგენელს“. ხუთი წლის წინ, ჯერ კიდევ „ფორმაში“ მყოფმა ელცინმა ხოტბა შეასხა ლებედს: „იგი პირდაპირი და გულწრფელი ადამიანია, რომელიც ყველაზე მაღლა სამხედრო დირსებას აყენებს“, თუმცა, ისიც დასძინა, რომ „ლებედი ერთობ დაურიღებელია თავის გამოთქმებსა და საუბრებში“. ვერაფერს იტყვი, ელცინმა „ზუსტად მორატყა“. ლებედი მიკობ-მოკიბით არ ლაპარაკობს, სიმართლეს პირში ახლის მოსაუბრეს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს კრემლში ყველა მისი მოწინააღმდეგეა და ყველას ერთი სულია, სანამ მის სამშვიდობო მოლაპარაკებებს ჩაშლის. „თუ ომი სურთ, საკუთარ ნალოლიავე შევიღებს ჩაველონ ხელი და იბრძოლონ. რუსი ჯარისკაცების გაუღეტის უფლებას კი მე მათ არ მივცემ“, — აცხადებს გენერალი.
მასხადოვთან შეხვედრის შემდეგ, აღიარა რა, რომ იურიდიული პრობლემები ძნელად გადასატრეულია, ლებედმა ისიც თქვა, რომ არ მოაწერს ხელს ისეთ შეთანხმებას, რომელსაც, მერე, მოსკოვში ნაკუწებად დაგლეჯენ. ლებედს კონკრეტულად არავინ დაუსახელებია და სწორედ ამან შეაფიქრინა მოსკოვის მმართველი წრეები.

ბევრს აშინებს მისი წარმატება და როგორც არაერთგზის აცხადებენ, „დიქტატორული ჩვევები“. ლებედს ბევრი თავსატეხი გაუჩინა ჩეჩენთმა. პირველ რიგში, რაღაც უნდა მოუხერხოს კროზნოს პრორუსულ მთავრობას. ლებედის მიერ მტკიცება იმისა, რომ დოკუზაგაევი „საუკეთესო ტყუილებში გახლართული ცრუპენტელაა“, საკითხს საბოლოოდ ვერ გადაწყვეტს. ამ რეჟიმის თავიდან მოცილება ნიშნავს, საჯაროდ უნდა დაგმო ისინი, ვინც ზაგაევი და ძმანი მისნი გროზნოში გააბატონა — ელცინი და ჩერნომირდინი.
არის კიდევ ერთი „წყაღქვეშა კლდე“ — ლებედმა თავის წინასაარჩევნო კამპანიის დროს განაცხადა, რომ მხარს დაუჭერდა რეფერენდუმს ჩეჩენთის თვითგამორკვევის შესახებ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლებმა ეს განცხადება აიტაცეს, მაგრამ ამ გეგმის განხორციელება არცთუ ისე ადვილი საქმეა. ოცთვინი ომით გასავათებულ ქვეყანას სულის მოთქმა და რაც მთავარია, ლტოლვილების მშობლიურ მიწაზე დაბრუნება სჭირდება უპირველეს ყოვლისა (მოსახლეობის 40% გაერიდა ომის საშინელებებს). ლოდინი ხუთ წელიწადს შეიძლება გაგრძელდეს. ჩეჩენები ითხოვენ, რომ ამ დროისთვის შეიქმნას საერთაშორისო გამგებლობა, რამეთუ მოსკოვი მყარ გარანტიებს ვერ იძლევა და ჩეჩენები არც ენდობიან „რუსულ დაპირებებს“. ეს მოთხოვნა არცთუ ადვილად დასასრულებელია: დასავლეთის სახელმწიფოები, რომლებიც ბალკანეთის მოვლენებში ჩარევისგან ასე დიდხანს იკავებდნენ თავს, სულაც არ ისწრაფვიან მცისვე გამოეშურონ კავკასი-

ისკენ და აქაურებს მშვიდობის გარანტიად დაუდგნენ. ერთადერთი გამოსავალია, შეიქმნას ნეიტრალური აღმინისტრაცია, მოსკოვისა და გროზნოსთვისაც ერთნაირად მისაღები. „გარდამავალ პრეზიდენტად“ შეიძლება რუსლან ხასბულატოვი დაინიშნოს, თუმცა, ყველას კარგად ახსოვს მისი და ელცინის მძაფრი დაპირისპირება. ხასბულატოვი იანდარბიევის მრჩეველია და ჩერნომირდინთანაც კარგ დამოკიდებულებაშია. მაგრამ ელცინი ისევე არ ენდობა მას, როგორც ლებედს.
და ბოლოს, რეფერენდუმის ჩასატარებლად საჭიროა შეიცვალოს კონსტიტუცია. რა თქმა უნდა, საქმე ეხება რუსეთის კონსტიტუციას. მაგრამ ვინ შეაბამს ევანს რუსეთის „დუმასს“? ამ დაბრკოლებას რომ გვერდი აუარონ, შეიძლება, ჩეჩენთს „ნაკლები დამოუკიდებლობა“ შესთავაზონ. ჩეჩენები მზად არიან განიხილონ ეს საკითხი და გარკვეულ დათმობაზე წავიდნენ. ეს რაც შეეხება სუვერენიტეტის ფორმას, მაგრამ თვით არსი, რა თქმა უნდა, შენარჩუნებულ უნდა იქნეს. ყოველივე ეს ადვილი საქმე არ გახლავთ. დროც არ ითმენს. ლებედის მდგომარეობა არცთუ ისე მყარია, ხოლო მის გარეშე ვინ იცის რა მოხდება. ჩეჩენთმა ეს კარგად იციან და ამიტომაც ჩქარობენ მიაღწიონ საბოლოო მშვიდობას, დანარჩენს კი ბედსა და დროის დინებას მიანდობენ. თუკი, რა თქმა უნდა, საქმე კარგად წაუვათ.
კ.კაროლი
(ნუშვალ ოზნიკვატორი)
ურანულიან თარბნა
ბიორბი აპიხაშვილი

იუმორის გვირგვინი - წითელსკინების კუროზები

კუროზები

აკაკი გეჯაძე

ანც და მიძულა ციცილმა,
ანცა ცტომლიძის დინამა,
მიძულა ისეუ სიცილმა,
ლაქაძიანმა ონამა



მოდის სამი რაჭველი. მიაღწენ მდინარეს. ცურვა არცერთა არ იცის. ჩახტა ერთი მორევში. ორი უცდის. წყლიდან წვრილ-წვრილი ბუშტუკები ამოდის, ის კაცი კი - არა. უყურე იმ მამაძალს, ჩუმად ლიმონათსა სვამს, მარა, ჩვენ რას დაგვიმალავსო. ჩახტა მეორე. ისევ ბუშტუკები ამოდის მორევში. უყურე ამ მამაძალს, ლიმონათს უჩემოდ სვამენო, გადაეშვა მესამეც მორევში. ბუშტუკები ისევ ამოვიდა წყლიდან, მაგრამ ეს აღარავის დაუნახავს.



ჩემს არჩევში დევს სიგელი, რომლითაც უნივერსიტეტში დამაჯილოვებს, როგორც მოცვევათა ჯგუფის ინდივიდუალური შემსრულებელი. მავანი იკითხავს, საიდან სადაო, აკაკი გეჯაძის ცეკვა ვის უნახავსო. მართლაც, პატარაობისას ყველასგან ფარულად ბოსელში ესწავლობდი ფეხის გასმა-გამოსმას, რომ გოგობისათვის ცეკვით თავი მომეწონებია. ერთ დღესაც, ბოსელში ქურდულად რომ შევიმალე და ურდულ-იდან შემოსულ შუჭვზე ფეხი გავუსვ-გამოგუსვი, უცებ - ტყუა ახალ ფუნაში! ეს იყო და ეს, ცეკვის სწავლა აღარასოდეს მიცდია. ჭკვიანამ იცის, ოდესმე არც სხვის დულუჯზე მიცეკვნიო, არც ისე. მაშ, ვისია ეს სიგელი? საქმე ის არის, რომ უნივერსიტეტში იშვიათად იმართებოდა სალამო უჩემოდ, მაკითხებდნენ ლექსებს. არ ვიყავი ურიგო დეკლამატორი და... დაფასებამაც არ დაიგვიანა. მაგრამ რაკი დეკლამატორის სიგელი უნივერსიტეტში არ ჰქონდათ, მომცეს მოცვევათ.

ჩემი ბიოგრაფიის მომავალ ყველა მკვლევარს ვთხოვ, ეს გაითვალისწინოს და არ დაიწყოს ძიება, სად და როდის ვცეკვავდი. სხვათაშორის, ამბროლაურის რაიონში ორი აკაკი გეჯაძე ვიყავით: მე მოლექსე, ის მომღერალი, გუნდის ლოტბარი. ხშირად ჩემი ლექსები მისი ეგონათ, ხოლო როცა რადიოთი გადმოვიცემოდა - მღერის ამბროლაურის კულტსახლის მომღერალთა გუნდი აკაკი გეჯაძის ხელმძღვანელობითო, მე მილოცავდნენ. რაიონულ გაზეთში ორივე ხშირად ვიბეჭდებოდი და... ხან მე ვიღებდი მის ჰონორარს, ხან ის ჩემსას, მაგრამ დავა არასდროს მოგვეგლიო. აი, ხედავთ, როგორ ვუჩირადდნებ გზას ჩემი ბიოგრაფიის მომავალ მკვლევარებს, რომლებიც ჯერ არ დაბადებულან.

1950 წლის პირველი იანვრის საღამოა. საახალწლოდ მამიდას ვეწვიე და ახლა შინ, სტუდენტობაში ვბრუნდები კარგ გუნებაზე, გულში ღლიონი რომ ჰქვია. ჩემს კორპუსს რომ მივეუახლოვდი, სად იყო და სად არა, უცებ ერთმა ახმახმა ხელი დამაფლო, ურო-მუშტი ყბაში მღეწა და წამაქცია. მერე დამხედა: ბოდიში, შემეშალაო! და გაიქცა... უფრო სწორედ, ვილაყას გაეკიდა. მე დაერჩი ორკბილხამტყრეული, გამწარებული. არადა, მეორე დღეს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში გამოცდა მქონდა. ტკივილით და უფრო ბოლომთ გასიებუნი, ძილგატენილი

ექიმთან გავიქეცი, კბილის ნამსხვრევები ამოვალეზინე და გამოცდაზე წავედი. წავიბორძიკე აბოკრიფების საკითხზე, მაგრამ დავით აღმაშენებლის ეპიტაფია ისე ჩავაბულებულე, თითქოს არსენ იყალთოელი მე ვიყავი, და ამან მიშველა, ბატონმა ალექსანდრე ბარამიძემ მატრიკულში ხუთიანი ჩამიბათა.

მერე გავიგე, ვილაყ მთერალი ბიჭები თურმე ერთმანეთს ანგარიშის გასასწორებლად დასდედნენ და... ამას ემსხვერპლა ჩემი ორი კბილი. ის კი ვერ გავიგე, ახმახი ბიჭი ვინ იყო.

1962 წელია. მწერალთა კავშირში ბინების განაწილების გაშემაწიდა. ოთხსულიანი ოჯახი, რომელსაც მეხუთე სულად ხშირად ჩემი სიდერაიც ემატება, 23 კვ მეტრიან ოთახში ვართ შეკუთვნილი. შემომთავაზეს მ.ლოხვიცკის გამონაცვალი ბინა, დავიწუნე. მერე - ოთარ ჯელიძის გამონაცვალი (ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძისეული „ივერიის“ სახლში). ჯერი მაღალი, ფართობიც დიდი... მაგრამ ეს დიდი ბინა მხოლოდ შემითთებდა, არც სამზარეულო გააჩნია, არც სველი წერტილი. თანაც მის წინ ტრამპეის გაჩერება და ქუჩის აურზაური და ტრანსპორტის მუხრუჭების ხრქიალი პირდაპირ სახლში შემოდის. ორი მცირეწლოვანი შვილი გეყავს და დიასახლისს უნდა მცირე ფართობის თანამდროვე ბინა, იყოს თუნდაც გამონაცვალი, რა უშავს. ამიტომ ოდესღაც „ივერიის“ შენობაც დავიწუნე. სხვებსაც შეაძლების ის ბინა, არაფერ შევიდა, ყველას უნდა რადიატორიანი და სველწერტილიანი სახლი. ბინების განაწილებისას ყველაზე მეტად

არ გასკრა არაფერმა. რვა წელიწადს ვიცხოვრე „ივერიისეულ“ ბინაში. კი, ოჯახისთვის არ იყო იქ ცხოვრება იოლი, მაგრამ თითქოს იმ კედლებში კვლავ ტრიალებდა დიდი ილიას ცხოველყოფილი სული, სწორედ იმ წლებში დავეყვარე ჩემი საუკეთესო ნაწარმოებები: „მოთხრობა „მხოლოდ ერთი ნაბიჯი“, რომანი „ყარამან ყანთელაძე“ (მერე დაერქვა „არ მოკვდეს სიკვდილამდე“), რომელიდანაც ორი პიესაც გასცენიურდა, რომანი „ჯვარტმული მზე“ („გზააბნეული ეშქლონი“), რომანი და პიესაც „წმინდანები ჯოჯობეთში“, კომედია „პაემანი ცაში“...

ილიასეული ბუხრის სიტბო გულში არასდროს გამინეღდება, სანამ თვალს ვახეღ. ასე რომ, ამჟამად ოღნავადაც არ ვნანობ, მე რომ იქ ვიცხოვრე.

ჩვენი პოლკის მეორე დივიზიონელი დავით ბარსონიძე მშვერავი იყო. ერთხელ შევიდა შენობაში, სადაც გერმანელებს ადრე შტაბი ჰქონდათ. გაქცევისას ფაშისტებს ყველაფერი წაეღოთ, რკინის სიფის გარდა. დათიკომ მოინდომა გაეგო, რა იღო იმ ცეცხლგამძლე კარადაში. რა თქმა უნდა, ვერ გაალო და... სხვა რომ ვეღარაფერი მოახერხა, იფიქრა, ავაფეთქებო. ყუმბარები შეუდო ქვეშ, მოაბა შწური, თვითონ ეზოში გავიდა, გამოსწია შწურს და...

სახლი დაინგრა, კარადა აბსოლუტურად მთელი დარჩა.

ბერძენი და მეგრელი ჩხუბობს. შუაში რაჭველი ონა ჩადგა გამწველებლად და თავი გაუტეხეს. ექიმმა უთხრა: საშიშია, ტვინის შერყევა არ დაგემართოსო. ეგ წუ გედარდება, ექიმო, მე რომ ტვინი მქონოდა, იმ ორი გიჟის შუაში არ ჩავდებოდიო.

რბაქვილი შოფერმა კაბინაში მიიჩინა გვერდით. აჰ, აქ სული მეხუთებაო, ძარაზე ავიდა. ცოტახნის მერე უკაკუნებს:

- შოფერ, ამოდი, აქ უკეთესი ჰაერიაო.

რბაქვილი მივიდა მილიციაში: კაცი მოვკალიო. რა მიზეზითო. შეიდი წელიწადი საშოვარზე ვიყავი, დავბრუნდი შინ, შევიხედე სახლში ფანჯრიდან და ჩემ ლოგინში სხვა კაცი არ ვეცხ? მოვკლა-მეთქი, გავივლე გულში, მარა, იმ წამსვე გეღვიფიქრე: სხვის ლოგინში მეც ხომ ვწოლილვარ და არავის მოვუკლავარ-მეთქი. ვხედავ, ჩემი ცოლუკა ქვე არ მიუწვა?! აჰა, რაკი ასეა საქმე, სულს ორივეს გავაცხებივტ ერთად-მეთქი. მერე მომაგონდა: მეც ხომ ვწოლილვარ სხვა ქალთან, არც ის ქალი მოვუკლავ ვინმეს, ხელი არც ჩემთვის უხლია-მეთქი. დაველოდე, სანამ იმ ამბავს მორჩებოდნენ. ადგა ნასიამოვნები კაცი, მოვიდა ფანჯარასთან და იმ ნამუსგარეცხილმა ცხვირი „ზანავესკით“ არ მოიხცა?! ეს მე ჩემ დღეში არ ჩამიდენია, გავცხარდი და გავაცხებივტ სული, აჰა.

